ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5563968

ნომერი: AR1843360

თარიღი : 10.08.2021

გაცემის თარიღი : 25.08.2021

გაცნობის თარიღი : 27.08.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ქვემო ალექსეევკა ; ქალაქი თბილისი , ქვემო ალექსეევკა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ დგებუაძე პ/ნ 01009013196
- ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას VII კვარტალი, კორპუსი 18, ბინა 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1843360 განცხადებით მომართა მოქალაქე ვლადიმერ დგებუაძემ და მოითხოვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება, ხოლო ვინაიდან განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტებს აღენიშნებოდათ გარკვეული ხარვეზები, სამსახურის 2021 წლის №5544349 ბრძანებით განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი და იმავდროულად დაევალა ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად მიწის ნაკვეთისა, უშუალოდ საპროექტო ნაგებობის ტრაექტორიის განსაზღვრა, რაც არ იქნა განხორციელებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად, „თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული

პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება, №AR1843360 განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად იქნეს დატოვებული მოქალაქე ვლადიმერ დგებუაძის განცხადება;

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.